community

The New Apostolic Church around the world

01/2026/GE

„ნუ გეშინია, შენ ოღონდ გწამდეს!“

რედაქციისგან
„ნუ გეშინია, შენ ოღონდ გწამდეს!“

ღვთისმსახურება
ხუთი ნაბიჯი საბოლოო დღესასწაულამდე

საეკლესიო მოძღვრება
სადაც იესო ქრისტე მისი განცდის საშუალებას ისევ გვაძლევს დღეს
როდესაც ღმერთი თავად ამბობს „ნახვამდის“

New Apostolic Church
International

რედაქციისგან

3 „ნუ გეშინია, შენ ოღონდ გწამდეს!“

ღვთისმსახურება

4 ხუთი ნაბიჯი საბოლოო დღესასწაულამდე

ვიზიტი ევროპაში

10 ნუგეში, რომელიც ძალას მატებს

საბავშვო კუთხე

12 პავლე მალტას სანაპიროზე გემის ჩაძირვის შემდეგ

14 სტუმრად როზა მიასთან მანილაში (ფილიპინები)

დოქტრინა

16 სადაც იესო ქრისტე მისი განცდის საშუალებას ისევ გვაძლევს დღეს

18 როდესაც ღმერთი თავად ამბობს „ნახვამდის“

■ თავფურცელი: კონგოს დრ, სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი
■ უკანა გვერდი: ინდონეზიის ახსე

„ნუ გეშინია, შენ ოღონდ გწამდეს!“

ფოტო: საერთაშორისო ახსე

ძვირფასო დებო და ძმებო,

2026 წლის ჩვენი დევიზი იესოს ეს სიტყვებია: „ნუ გეშინია, შენ ოღონდ გწამდეს!“

ჩვენ გამოწვევებით სავსე სამყაროში ვცხოვრობთ: კონფლიქტები და მკაცრი ტონი საზოგადოებაში, ასევე მრავალი ხმა, რომლებშიც ღმერთის შესახებ არაფერი ისმის.

შიშს ძალიან ადვილად შეუძლია ჩვენი ქმედებები განსაზღვროს - ის ხლეჩს, ეჭვებს აჩენს და ამ კითხვამდე მივყავართ: რა იქნება მერე?

იესო მოგვიწოდებს, მივენდოთ მას: „შენ ოღონდ გწამდეს“. ჩვენს ქმედებებს მისი სიტყვა და სიყვარული წარმართავს - და არა გაურკვევლობა ან წუხილი. რაც არ უნდა მოხდეს, შეგვიძლია დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ ღმერთი საქმეშია - ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ცენტრში. ის მომავალს თავის დიდებაში გვიმზადებს.

მტკიცე რწმენა ძალას გვმატებს. გამოვნახოთ დრო ჩვენს სარწმუნოებრივ სიმბოლოზე სამუშაოდ. დაე, მისმა შინაარსმა ჩამოაყალიბოს ჩვენი ცხოვრება. ეს შიშების დაძლევაში და საფრთხეების მშვიდად და წყნარად მიღებაში დაგვეხმარება.

ამდენად, ახალ წელს სრული ნდობითა და დარწმუნებით შეგვიძლია შევხვდეთ, რაც ყველაფერ იმაზე ბევრად მეტია, რაც გვაშფოთებს.

„ნუ გეშინია!“

ჟან-ლუკ სნაიდერი

ხუთი ნაბიჯი საბოლოო დღესასწაულამდე

ფოტოები: კონგოს დრ-ის ახსე, სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი

კვირას, 2025 წლის 27 ივლისს პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა ღვთისმსახურება მბუჯი-მაიში ჩაატარა, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

გამოცხ. 19,7:

„გავიხაროთ და ვიმხიარულოთ და დიდება მივაგოთ, ვინაიდან მოვიდა კრავის ქორწილი და მისმა სასძლომ თავი გაიმზადა.“.

ჩემო საყვარელო ძმებო და დებო, დღევანდელი კვირადღე განსაკუთრებულია - თქვენთვისაც და ჩემთვისაც. დიდი ხანი ველოდებოდით ერთმანეთთან ხელმეორედ შეხვედრას. მთელი გულით მადლობას ვუხდი ღმერთს იმისათვის, რომ მომცა უფლება ისევ მენახა ყველა თქვენთაგანი, ჩემი ძმები და დები, აქ და მთელი ქვეყანის მასშტაბით. სიხარული დიდია, ვინაიდან ბევრ თქვენთაგანთან შეხვედრის შესაძლებლობა მომეცა. აქ, მბუჯი-მაიში, დიდი რაოდენობით ვართ შეკრებილნი. თუმცა ჩვენი შეკრების მიზეზი იგივეა, რაც ყოველ კვირადღეს: ჩვენ აქ ვართ, რამეთუ ქრისტიანები ვართ.

ჩვენ წმიდავყოფთ კვირადღეს. ვლოცულობთ, ვგალობთ, ვისმენთ ქადაგებას, ვიღებთ წმიდა ზიარებას და ცოდვების შენდობას. უპ. ყოვლისა

კი, იესო ქრისტეს აღდგომას ვზეიმობთ. კვირადღე გვახსენებს, რომ იესო ცოცხალია. მან დათრგუნა სიკვდილი და ბოროტი. ამის ცოდნა ძალასა და იმედს გვაძლევს. იმ დროს, როდესაც მის აღდგომას ვზეიმობთ, ჩვენი საკუთარი აღდგომისთვის ვემზადებით. რამეთუ იესომ აღგვითქვა, რომ კვლავ მოვა, რათა მისი სასძლო თავისთან წაიყვანოს. ჩვენი შეკრების მიზანიც ჩვენი სულის მისი მეორედ მოსვლისთვის მომზადებაა. სწორედ ამაზე ლაპარაკობს ჩვენი ბიბლიური ციტატა: კრავის საქორწილო ნადიმზე.

როდესაც ბიბლიაში იმ ურთიერთობაზეა ლაპარაკი, რომელიც ადამიანებს ღმერთთან აკავშირებს, შესადარებლად ხშირად ცოლ-ქმრის მაგალითი გამოიყენება. ძველ აღთქმაში ისრაელის ხალხი უფლის მიერ არჩეულ სასძლოდ არის წარმოდგენილი. ღმერთი არის ქმარი, რომელიც იმ კავშირის ერთგული რჩება, რომელსაც იგი თავის მეუღლესთან ამყარებს, მაშინაც კი, თუ ის უღალატებს მას. ახალ აღთქმაში იესო სწორედ ამ მაგალითს იშველიებს: ის არის სასიძო, მისი ეკლესია კი სასძლოა. ვინც მისდევს მას და ერთგულია მისი, მის სასძლოს ეკუთვნის. კავშირი, რომელიც მათ აერთიანებს, სიყვარულია. და როდესაც იესოს „კრავს“ უწოდებენ, ეს იმას გვახსენებს, რომ იესოს თავისიანები ისე ძლიერ უყვარს, რომ მზად არის, მოკვდეს მათთვის, მსხვერპლად შეეწიროს მათ. იესო თავად ამბობს: მის სასძლოს ისინი შეადგენენ, ვისაც ღმერთი მთელი გულით, მთელი სულითა და მთელი გონებით უყვარს.

> მომენდე. გეუბნები, ეს ასეა. იწამე.

ქორწილი პირველი აღდგომის სიმბოლოა. რჩეულები ქრისტესთან სრულ თანაზიარებაში შევლენ. ისინი სამუდამოდ და სრულიად ერთნი იქნებიან მასთან. ეს ერთობა გაცილებით მეტია, ვიდრე ორი ადამიანის ერთობა, რომლებიც ქორწინდებიან, რამეთუ წერილში ნათქვამია: „ამრიგად, ისინი ორნი კი აღარ არიან, არამედ ერთი ხორცი“ (მათ. 19, 6). ამდენად, იესო და მისი სასძლო არა მარტო საუკუნოდ ერთნი იქნებიან, არამედ სრულად ერთნი იქნებიან, ერთი და იგივე ბუნებით, მათ ყველას აღდგომის სხეული ექნება. ამიტომ არის ასე მნიშვნელოვანი, რომ იესოს მსგავსნი გავხდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ გავხდებით მისი სასძლოს ნაწილი და ვერ გვექნება მასთან საუკუნო თანაზიარება ღვთის სასუფეველში.

დღეს ჯერ კიდევ ამ ქორწილისთვის მზადების ხანაში ვცხოვრობთ. სასძლო უნდა გასუფთავდეს და განიწმიდოს, რამეთუ ღვთის სასუფეველში შესვლა შეძლოს. ამ მომზადების უდიდესი საქმე თავად იესომ შეასრულა: სასძლოს განწმენდა იესოს მიერ გაღებული მსხვერპლის წყალობით არის შესაძლებელი. მისი სიტყვაც განწმედს მას, ღმერთი კი ისევ და ისევ შეგვინდობს ცოდვებს. მაშასადამე, საქმის უდიდეს ნაწილს ღმერთი აკეთებს. მაგრამ პავლე ამბობს, რომ სასძლოს მოსამზადებლად იესომ მოციქულები მიავლინა: ეს მომზადება უნდა მოხდეს ქადაგების მეშვეობით, მიტევების წყალობით, საიდუმლოების მეშვეობით - წყლით ნათლობის, სულიერი ნათლობის და წმიდა ზიარების მეშვეობით. მოციქულთა მთავარი ამოცანა სასძლოს ქრისტეს მეორედ მოსვლისთვის მომზადებაა.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უბრალოდ ვთქვათ: „მაშინ, თქვენ მომამზადეთ, მოციქულებო.“ არა, ასე არ გამოვა. არ არის საკმარისი ნათლობა და სულიწმიდით აღბეჭდვა, ღვთისმსახურებაზე რეგულარული სიარული და წმიდა ზიარების მიღება, რათა ბოლოს, მეორედ მოსვლის დროს, იესომ ავტომატურად მიგვიღოს. მოცემული ბიბლიური ციტატა ნათლად ამბობს: „მისმა სასძლომ თავი გაიმზადა“, რაც იმას ნიშნავს, რომ მან არა მხოლოდ ღმერთსა და მოციქულებს მოამზადებინა თავი, არამედ თავისი წილიც გააკეთა, ნამდვილად იშრომა.

საყვარელო ძმებო და დებო, ეს ჩვენი მოვალეობაც არის, ჩვენი პასუხისმგებლობა. თვითეული თავად უნდა მოემზადოს. შენს მაგივრად მე ვერ გავაკეთებ ამას; ვერც შენ გააკეთებ ამას ჩემს მაგივრად.

უპ. ყოვლისა, რწმენა უნდა ვისწავლოთ. ბიბლია ამბობს: „რწმენის გარეშე შეუძლებელია ღვთისათვის მოსაწონად ყოფნა, ვინაიდან ვინც ღმერთთან მიდის, უნდა სწამდეს“ (ებრ. 11, 6). რწმენა ღვთის სიტყვისადმი ნდობას ნიშნავს, მაშინაც კი, როცა ვერ ვხედავთ, მაშინაც კი, როცა ვერ ვიგებთ. ადამიანს ყოველთვის ნიშნები, მტკიცებულებები სჭირდება. მას სურს, რომ ყველაფერი გაიგოს. მაგრამ ღმერთი ამბობს: „არა, მე გელაპარაკები, შენ კი ჩემს სიტყვას ენდე. მეტს არაფერს გთხოვ.“ იესო მალე მოვა. ნუ გამოითვლით თარიღს, ნუ ეძებთ ნიშნებს, ნუ ითხოვთ მტკიცებულებებს. ღრმად ნუ დაიწყებთ იმის ძიებას, თუ როგორ მოხდება ეს. უბრალოდ იწამეთ. მიენდეთ მას. ეს მოხდება, რამეთუ ის გვეუბნება ამას.

იესომ მოციქულები მოგვივლინა, რამეთუ მისი მეორედ მოსვლისთვის მოგვამზადონ. მაგრამ შენ მხოლოდ არასრულყოფილ ადამიანებს ხედავ, ხედავ ეკლესიას და ყველა დაშვებულ შეცდომას. ეჭვი გეპარება: შეუძლებელია ეს ქრისტეს ეკლესია იყოს, შეუძლებელია ესენი ღვთის მიერ იყვნენ მოვლენილნი. რატომ არ აგვარებს ღმერთი პრობლემებს? იესო კი გპასუხობს: „მომენდე. გეუბნები, ეს ასეა. იწამე.“

ღმერთი გვეუბნება, რომ ვუყვარვართ. მაგრამ როგორ უნდა ვირწმუნოთ ეს? ავად ვართ, მხოლოდ პრობლემები გვაქვს. რატომ უშვებს ღმერთი ამას? და როგორ შეუძლია ღმერთს ამ დროს გვითხრას, რომ ვუყვარვართ? მაგრამ ღმერთი თავის პოზიციაზე დგას: „მე შენ მიყვარხარ. ირწმუნე ჩემი სიტყვა. მომენდე.“

ყველა ჩვენთაგანმა ჯერ კიდევ უნდა ისწავლოს რწმენა. ყველამ უნდა ვთხოვოთ ღმერთს: განმიმტკიცე რწმენა, ის ჯერ კიდევ ძალიან სუსტია. მეორე პუნქტი: მივიღოთ საიდუმლოები და განვითარებისთვის ადგილი დავუთმოთ მათ ჩვენში. წყლით წმიდა ნათლობა მომზადების ნაწილია. მაგრამ უბრალოდ საიდუმლოს მიღება საკმარისი არ არის. ამ საიდუმლოსთან დაკავშირებული პირობაც უნდა დავიცვათ. შევპირდით, რომ უარს ვიტყვით ბოროტზე, ყველაფერზე, რაც ღვთის ნებას ეწინააღმდეგება. იმისათვის, რომ წყლით ნათლობა ამოქმედდეს, დადებული პირობა უნდა შეასრულო და ბოლომდე იბრძოლო ცოდვის წინააღმდეგ. ესეც მუდმივი ამოცანაა. ვინაიდან ცდუნებები მრავლად არის.

იმისათვის, რომ ქრისტეს სასძლოს ნაწილი გავხდეთ, სულიწმიდით აღბეჭდვის საიდუმლო უნდა მივიღოთ. სულიწმიდის მადლთან ერთად ღვთის სასუფეველში პირმშოდ შესვლის შესაძლებლობას იღებ - მაგრამ ეს შესაძლებლობა უსარგებლო იქნება, თუ ამის ნება-სურვილი არ გექნება. იმ მიზნით, რომ სულიწმიდით აღბეჭდვამ სრულად მოქმედება შეძლოს, ქრისტესთან საუკუნოდ ყოფნის სურვილი ნამდვილად პირველ ადგილზე უნდა დავაყენოთ.

რეგულარულად უნდა მივიღოთ წმიდა ზიარება, სხვა შემთხვევაში, ვერ მივიღებთ საუკუნო სიცოცხლეს. თუმცა წმიდა ზიარება ჯადოსნური აბი არ არის, რომელიც ღმერთთან ჩვენს ურთიერთობას ავტომატურად მოაგვარებს. მისი მაცხონებელი ძალა მხოლოდ მაშინ მოქმედებს, როცა გულში ნამდვილად ცოცხლობს იმის სურვილი, რომ დავემსგავსოთ ქრისტეს. არიან ადამიანები, რომლებიც ორმოცდაათი წლის განმავლობაში ყოველ კვირას იღებენ წმიდა ზიარებას, თუმცა მისი რაიმე გავლენა არ ჩანს, ვინაიდან მათ რეალურად არ აქვთ სურვილი, რომ დაემსგავსონ იესოს.

გავხდეთ ქრისტეს მსგავსი, ესეც მომზადების ნაწილია. ამისათვის კი ღმერთის ისეთი სიყვარული უნდა ვისწავლოთ, როგორც იესოს უყვარდა იგი. დედამიწაზე ცხოვრების დროს მისთვის ყველაზე

ქრისტეს სასძლოს ნაწილი რომ გავხდეთ, სულიწმიდით აღბეჭდვის საიდუმლოს უნდა ვეზიაროთ.

მთავარი ყოველთვის ღმერთთან ურთიერთობა იყო. გავიხსენოთ ცდუნება უდაბნოში: იესოს შიოდა, საკვების მისაღებად ეშმაკმა გამოსავალი შესთავაზა. მაგრამ იგი დაფიქრდა და უთხრა: „ასე რომ მოვიქცე, მამას დავშორდები. მე კი მამასთან დარჩენა მსურს.“ მისთვის ღვთისადმი სიყვარული უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე საკუთარი მოთხოვნილებები. საყვარელო ძმებო, საყვარელო დებო, ცხადია, უნდა მოვაწყოთ ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრება, მაგრამ ვერაფერმა მიწიერმა ვერ უნდა დაარღვიოს ღმერთთან ჩვენი ურთიერთობა. იესოს იმდენად უნდოდა, რომ მამასთან ერთი ყოფილიყო, უარი თქვა საკუთარ სურვილებსა და ნებაზე, რამეთუ მამის ნება შეესრულებინა. სიამოვნებით დააღწევდა იგი თავს წამებასა და ჯვარცმას, მაგრამ, როცა მიხვდა, რომ ღმერთს სხვა გეგმა ჰქონდა, თქვა: „იყოს ნება შენი, არა ჩემი.“ უფლის მეორედ მოსვლისთვის მომზადება ღმერთთან ერთობას და საკუთარი წარმოდგენების მამის სასარგებლოდ დათმობას ნიშნავს. იესოს ღმერთი ბოლომდე უყვარდა. ყველა განსაცდელის მიუხედავად ის მისი ერთგული დარჩა. დაევემსგავსოთ იესოს ნიშნავს, ისე გვიყვარდეს ღმერთი, როგორც მას უყვარდა: ღმერთთან ჩვენი ურთიერთობა ყველაფერზე მაღლა დავაყენოთ, უარი ვთქვათ საკუთარ შეხედულებებზე და მტკიცენი დავრჩეთ განსაცდელში.

მოყვასის სიყვარულიც ისეთი უნდა ვისწავლოთ, როგორც იესოს ჰქონდა. როგორ უყვარს იესოს მოყვასი? მოკლედ რომ ვთქვათ, მისი სურვილია, ადამიანებმაც მიიღონ ყველაფერი, რაც მან მიიღო. იესოს სიყვარული მის იმ სურვილშიც ვლინდება, რომ მოგვანიჭოს საუკუნო დიდება, რომელიც მხოლოდ მას ეგების და რომელსაც ჩვენ არ ვიმსახურებთ. სიყვარულით ჩადგა იგი ადამიანების სამსახურში. მას არ უთქვამს: „თავად იზრუნე ამაზე.“ არა, ღვთის ძემ თავი დაიმდაბლა, რამეთუ ამ დიდების მიღწევაში დაგვეხმაროს. მარტო ის კი არ არის, რომ არ ვიმსახურებთ ამ დიდებას, ის მის მიღწევაში გვეხმარება. იესო თავმდაბალი იყო და მოყვასს ემსახურებოდა. ის მუდამ მზად იყო, მიეტევებინა მისთვის, ვინც სცოდავდა. მოყვასის იესოსავით სიყვარული არ ნიშნავს იმას, რომ ჩემი მოყვასი ჩემი ცოლივით ან შვილებივით მიყვარდეს; ან ყველა ადამიანი ახლო მეგობარივით მიყვარდეს.

ღვთისმსახურებას 15 000 ერთმორწმუნე და-ძმა ესწრებოდა.

ქრისტეს სიყვარული ნიშნავს, სხვამაც იგივე ხსნა და იგივე დიდება მიიღოს, რისი მონიჭებაც იესოს ჩვენთვის უნდა. მოყვასის სიყვარული მისთვის ხსნის მიღწევაში დახმარებას ნიშნავს იმგვარად, რომ სიკეთე გავუკეთოთ მას - მაშინაც კი, თუ ცუდს გვიკეთებს იგი. ეს ნიშნავს, დავემსგავსოთ ქრისტეს: გვიყვარდეს ღმერთი და მოყვასი, როგორც იესოს უყვარდა.

შემდეგი პუნქტი წყალობას ეხება. ჩვენ გვჭირდება წყალობა, ვინაიდან არც ერთი ჩვენთაგანი სრულყოფილი არ არის. ამიტომაც ძალისხმევა არ უნდა დავიშუროთ, რათა ცოდვები მოგვეტევოს. ეს არც თავისთავად და არც ავტომატურად არ ხდება. და აქ ახალი არაფერია: მოციქულები ამას ათწლეულებია ასწავლიან, კატეხიზმოშიც წერია. ცოდვათა შენდობის მისაღწევად აუცილებელია: ვაღიაროთ ცოდვები, გულწრფელად მოვინანიოთ - ისე, რომ არც გავამართლოთ და არც დავაკნინოთ ისინი -, ვითხოვოთ პატიება და სერიოზულად შევეცადოთ გამოსწორებას.

ყოველთვის, როცა მესმის, რომ ღმერთი საბოლოოდ მაინც ყველას მიანიჭებს წყალობას, გარკვეულ წუხილს განვიცდი. არიან ღვთის შვილები, რომლებიც იმას აკეთებენ, რაც არ უნდა გააკეთონ: იპარავენ, ჩხუბობენ, იტყუებიან. მერე კი ამბობენ: „ღმერთმა ხომ იცის, რომ ფული მჭირდება. ის გამიგებს და მომიტევებს.“ არა! აღიარე დანაშაული? ნამდვილად ინანიებ იმას, რაც გააკეთე? თუ იმას ნანობ, რომ გამოგიჭირეს? ეს არ არის ნამდვილი სინანული. გულწრფელად ითხოვ მიტევებას? მტკიცედ გაქვს გადაწყვეტილი, რომ ამას აღარ ჩაიდენ? ათწლეულებია ბევრი ერთსა და იმავეს აკეთებს და არ აპირებს შეცვლას, ვიდრე არ წაასწრებენ. არანაირი სინანული, არანაირი მიტევება.

მუქარად ნუ ჩათვლით ამას. მე მხოლოდ სახარებას ვქადაგებ. ეს მე არ მომიგონია. მაგრამ ვნერვიულობ ჩემს ძმებსა და დებზე. ხშირად ნამდვილი სინანულის ნაკლოვანებაა. როცა ახალგაზრდა ვიყავი, ერთი ეპისკოპოსი გამუდმებით მეუბნებოდა: „არასოდეს დაივიწყო, ღმერთი არ არის ვალდებული უფლის მეორედ მოსვლისას თან წაგიყვანოს მხოლოდ იმიტომ, რომ ახალსამოციქულო ეკლესიას ეკუთვნი, დადიხარ ეკლესიაში და ასრულებ შენს სასულიერო მსახურებას.“

მაშ, მოვემზადოთ ქრისტეს მეორედ მოსვლისთვის ისე, რომ სრული მადლის მონიჭება შეძლოს მან ჩვენთვის.

ჩვენი მომზადების ბოლო პუნქტი: შევქმნათ ერთობა. ღმერთს სურს, რომ ერთნი ვიყოთ. იესომ თქვა: „იმით გიცნობთ ყველა, რომ ჩემი მოწაფეები ხართ, თუ გექნებათ სიყვარული ერთმანეთს შორის“ (იოან. 13, 35). აქ და დღესვე უნდა ვისწავლოთ ქრისტეში ერთობა. უნდა დავძლიოთ განსხვავებები, მივიღოთ ის, რომ სხვა სხვაგვარია. მივუტევოთ ერთმანეთს და შევრიგდეთ. იესოს ერთიანი ეკლესია სურს. ჩვენ კი დაუღალავად უნდა ვიშრომოთ ამ ერთიანობისთვის. ჩვენი მომზადების მეხუთე პუნქტი ეს არის.

მოცემული ბიბლიური ციტატა კრავის ქორწილს აღწერს როგორც აღსრულებულ ფაქტს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაღაც გამოგვრჩა. ღმერთი დროის

სამხ. მოციქული თომას დოიბელი

სამხ. მოციქული ელი ტატიენ მუკინდა

მიღმა იყურება. მისთვის წარსულიც და მომავალიც აწმყოა. როცა ღმერთი კრავის ქორწილზე გველაპარაკება, ის რეალობას აღწერს. იმას, რაც უკვე არსებობს, რისი დანახვაც ჯერ არ შეგვიძლია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას ვერაფერი შეუშლის ხელს. ვერაფერი შეუშლის იესოს ხელს იმაში, რომ კვლავ მოვიდეს და მომზადებულები თან წაიყვანოს. და ამით შეგვიძლია გავიხაროთ.

გავიხაროთ, მალე ბოროტება საბოლოოდ გაქრება. ჩვენ იესოსთან ერთად ღვთის სასუფეველში ვიცხოვრებთ, სადაც აღარ იქნება ტანჯვა, სიკვდილი და უსამართლობა. ამის ნაცვლად სრული, საუკუნო ბედნიერება, ნეტარება, გველოდება. გიხაროდეს, რამეთუ იესოს მსგავსი იქნები. ის სრულგყოფს. შენი შეცდომები და ნაკლოვანებანი გაქრება. გიხაროდეს, შენი ძმაც, შენი დაც, შენი მოყვასიც გათავისუფლდება ბოროტისგან და სრულყოფილი იქნება. გიხაროდეს, მალე ცოცხლებთან და მკვდრებთან ერთად იესოში გავერთიანდებით. მოყვასს აღარ ატკენ გულს უნებლიეთ. აღარავინ დაიტანჯება ბოროტად ნათქვამი სიტყვის გამო. ჩვენ ყველანი იესოს მსგავსნი ვიქნებით, ერთნი ქრისტეში. გიხაროდეს, ეს ყველაფერი ახდება. და გიხაროდეს, როცა ამისთვის ემზადები.

„დიახ“-ის თქმა და მომზადება იოლი საქმე არ არის. უნდა გწამდეს მაშინაც, როცა ყველაფერს ვერ იგებ. მორჩილი უნდა იყო მაშინაც, როცა გიძნელდება ეს. უნდა მიუტევო მაშინაც, თუ მტკივნეულია ეს. უნდა იმსახურო მაშინაც, თუ მსხვერპლს მოითხოვს ეს. რაღაც-რაღაცეებზე უარი უნდა ვთქვათ. ალბათ ფიქრობ: „ამ ეკლესიაში იმდენი პრობლემაა, ეს კი ხელს შემიშლის.“

მაგრამ გაიხსენე, რატომ ემზადები. ვისაც ნამდვილად სურს ქრისტესთან ერთად ყოფნა, უხარია, რომ იცვლება და მისნაირი ხდება. სიხარულით მორჩილებს, სიხარულით უყვარს, სიხარულით მიუტევებს. სიამოვნებით მსახურებს, მოსწონს თემის ერთიანობისათვის შრომა, ვინაიდან იცის, თუ რატომ აკეთებს ამას.

ჩემო ძმაო, ჩემო დაო, მოემზადე უფლის მეორედ მოსვლისთვის. იფიქრე იმაზე, რასაც იგი გიბოძებს, და სიხარულით მოემზადე ამისთვის.

ძირითადი აზრები

ჩვენ ქრისტეს მეორედ მოსვლას ველოდებით. იესო მისი მსხვერპლისა და სიტყვის მეშვეობით განგვწმედს. ამ მოვლენისთვის მოციქულები გვამზადებენ. ჩვენ იმგვარად ვემზადებით, რომ ვსწავლობთ რწმენას, ქრისტესავით სიყვარულს და წყალობის სრულად გამოსყიდვას. სასძლოს ნაწილად ყოფნის პერსპექტივა სიხარულით გვავსებს.

რუმინეთის ქალაქ სიგიშოარას თემი, 11 მაისი, 2025 წ.

ფოტოები: მეუფეარიის ახსე

ნუგეში, რომელიც ძალას მატებს

ნუგეში - თავიდან ეს გულისამაჩუყებლად ჟღერს. თუმცა ღვთიური ნუგეში გაცილებით მეტია, როგორც ეს პირველმოციქულმა შნაიდერმა განმარტა. ღმერთი გვარწმუნებს, რომ ის აქ არის, გვიცნობს, ვუყვარვართ და ჩვენს გვერდითაა - არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა სიტუაციაში ვიმყოფებით.

ნუგეში, რომელიც მუდმივად ძალას გვაძლევს

ღვთიური ნუგეში ფართოდ სცილდება ადამიანურ წარმოდგენას მის შესახებ, განმარტა პირველმოციქულმა. ის მხოლოდ მწუხარების შემსუბუქება კი არ არის, არამედ ღვთის სამუდამო დაპირებაა: „მე აქ ვარ, მე გიცნობ შენ და მიყვარხარ, შენთან და შენს გვერდით ვარ!“ სულიწმიდა ისევ და ისევ გვახსენებს, რომ ამაში ღრმად უნდა ვიყოთ დარწმუნებულნი, და გვიჩვენებს, რომ ნუგეშის წყარო ღვთიური წყალობა და სიკეთეა. 2025 წლის 11 მაისს რუმინეთის ქალაქ სიგიშოარაში წარმოთქმულ ქადაგებაში პირველმოციქულმა ათი სიქველე დაასახელა, რომელთა მეშვეობითაც კონკრეტულად შეიძლება ნუგეშის განცდა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ამქვეყნიური წყალობა - იმის დანახვა, რაც ნამდვილად მნიშვნელოვანია

„ადამიანი ყოველთვის იმაზეა კონცენტრირებული, რაც არა აქვს, და უსამართლობად თვლის იმას, რომ სხვებს უფრო მეტი აქვთ“, თქვა პირველმოციქულმა. სულიწმიდას სურს, ჩვენი მზერა იქითკენ წარმართოს, რასაც ღმერთი დაუმსახურებლად გვწყალობს. „მარტო იმაზე ნუ კი ფიქრობ, რაც არა გაქვს, არამედ იმაზეც იფიქრე, რაც მოგეცი, შენ კი არ დაგიმსახურებია.“ ბევრი რამ მეტისმეტად ჩვეულებრივად გვეჩვენება: „გყავს ქმარი, გყავს ცოლი, ბევრს არ ჰყავს. შენ ჯანმრთელი ხარ, სხვები კი წლობით არიან ავად. მართლა ფიქრობ, რომ შენ ეს დაიმსახურე, სხვებმა კი არა, რადგან არ იმსახურებდნენ?“

რჩეულების წყალობა - მიღებული ძალისხმევის გარეშე

ნუგეში კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ ღმერთმა ადამიანი სამყაროს შექმნამდე ამოირჩია. ღმერთმა გადაწყვიტა, რომ უპირობოდ შეეყვარებინა იგი ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე ის რაიმე წვლილის შეტანას შეძლებდა. პირველმოციქულმა ხაზი გაუსვა ღმერთის ამ სიღრმისეულ პირობას: „მე შენ მიყვარხარ ისეთი, როგორიც ხარ, არა აქვს მნიშვნელობა, როგორ მოიქცევი, მე მუდამ მეყვარები იგივე სიყვარულით.“

საუკუნო სიცოცხლის წყალობა - იმედი, რომელიც არ იწურება

ყველა ტანჯვასა და გასაჭირში უცვლელი რჩება ღმერთის ის დაპირება, რომ ადამიანებისთვის მას საუკუნო ბედნიერება, ნეტარება, აქვს მომზადებული, რომელიც ნებისმიერ ამქვეყნიურ

გასაჭირს დაავიწყებს მათ. პირველმოციქულმა შნაიდერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალ შემოქმედებაში ყოველი დღე ახალ მიზეზს შემოგვთავაზებს ღმერთის სადიდებლად. ადამიანები ხშირად სვამენ ამ კითხვას: „რატომ არის ცხოვრება ასეთი უსამართლო?“ ზუსტად ასევე აუხსნელია ღვთის წყალობაც: „რატომ უნდა ღმერთს, რომ სწორედ მე გამიკეთოს ამდენი სიკეთე? მე მის დამსახურებას ვერ შევძლებ.“

მიტევება - ახალი დასაწყისისთვის ბოლო არ არსებობს

ისევ და ისევ უშვებს ადამიანი შეცდომებს - ღმერთი კი ისევ და ისევ მიუტევებს მას. პირველმოციქულმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ წყალობა კი არ განსჯის, არამედ ფეხზე აყენებს. მიტევება შეგვაგონებს, რომ თავად არ დავიღალოთ ბოროტთან ბრძოლით და სხვების მიტევებით. „არ დანებდე, გააგრძელე ბრძოლა“, მოუწოდა მან. ღვთის წყალობა ძველებური ცხოვრების გაგრძელების ინდულგენცია არ არის, არამედ მოქცევისკენ და იმისკენ მოწოდებაა, რომ შეუპოვრად ვისწრაფოთ სიკეთისკენ.

წყალობა ყველაფერში, რაც აუცილებელია - ის იმას გვაძლევს, რაც ძალას შეგვმატებს

ღვთიური წყალობა მოიცავს ყველაფერს, რაც ადამიანს სრულყოფისთვის სჭირდება - არა მხოლოდ სიტყვასა და საიდუმლოს, არამედ კონკრეტულ ცხოვრებისეულ პირობებს ცალკეული პიროვნებისთვის. ადამიანებს ხშირად საკუთარი წარმოდგენა აქვთ იმაზე, თუ რა სჭირდებათ ხსნისათვის. მაგრამ ღმერთი არ დაპირებია მათ ყველა სურვილის ასრულებას, ის შეჰპირდა იმას, რაც აუცილებელია: „შენ არ გაქვს ყველაფერი, რაც გსურს, მაგრამ თუ გულწრფელი იქნები, ჩემგან მიიღებ ყველაფერს, რაც გამოსყიდისთვის გჭირდება.“

წყალობის ჟამი - მოქცევის შანსი

ღმერთი ადამიანებს დამატებით დროს აძლევს - წყალობის ჟამს, რამეთუ შეიცვალონ ცხოვრება და ის გააკეთონ, რასაც ღმერთი მათგან მოელის. „ჯერ კიდევ არ არის გვიან - გააკეთე რამე!“, დაბეჯითებით მოუწოდა შნაიდერმა. წყალობის ეს ჟამი ერთდროულად შანსიც არის და მოწოდებაც, რომ იაქტიურონ და მარტო მოლოდინში არ იყვნენ.

სრულყოფის წყალობა - რამეთუ აღასრულებს მას

ადამიანები საკუთარი ძალით ვერასოდეს ახერხებდნენ, რომ ისეთი სრულყოფილები გამხდარიყვნენ, როგორიც ქრისტეა. თუმცა ღმერთი საბოლოო შედეგს კი არ უყურებს, არამედ იმას, თუ რამდენად სერიოზულია მცდელობა. „ღმერთი წყალობით მოგანიჭებს სრულყოფილებას“, დაბეჯითებით განაცხადა პირველმოციქულმა.

წყალობა ყველასათვის - გახსნილი ბოლომდე

ის აზრიც, რომ ღმერთი არავის დათმობს, იმათაც კი, ვინც ჩამოშორდა მას, წყალობის ერთ-ერთი მანუგეშებელი ასპექტია: „უსარგებლო წუხილს ნუ აჰყვები, მე ისინი შენზე მეტად მიყვარს“, ხაზი გაუსვა შნაიდერმა. ღმერთი ყველა ადამიანს ბოლომდე აძლევს მასთან დაბრუნების შესაძლებლობას.

წყალობა, რომელიც გაცილებით ძლიერია - ბოლო სიტყვა ქრისტეს ეკუთვნის

ბოროტება ზოგჯერ ზეძლიერია. მაგრამ პირველმოციქულმა შეგვახსენა, რომ ღვთის წყალობა ყოველთვის უფრო ძლიერია. ღვთის საქმე ბოლომდე მივა - ვერანაირი ძალა ვერ შეუშლის მას ხელს. „ნუ დარდობ, მე ბოლომდე მივიყვან ჩემს საქმეს, ვერავინ შემიშლის ამაში ხელს!“

ნაწყალობევი ნიჭები - აღმოაჩინე და გამოიყენე

ბოლოს ღმერთი ყველას იმისკენ მოუწოდებს, რომ შეიცნონ მიღებული ნიჭები და ისინი ღვთისა და თანამოძმისათვის მსახურებაში გამოიყენონ. „გამოიყენე ნაწყალობევი ნიჭები, რამეთუ სიკეთე გაუკეთო მოყვასს“, მოუწოდა ბოლოს შნაიდერმა.

ღვთის წყალობა უფრო მეტია, ვიდრე სანუგეშო პრიზი. ის ძალის წყაროა, თანამგზავრი და თან მომავლის იმედი - ყველასთვის, ვინც თვალს ადევნებს სულიწმიდის საქმეს.

ძირითადი აზრები

ფსალმ. 118, 76:

„დაე, იყოს წყალობა ჩემს სანუგეშოდ, როგორც აღუთქვი შენს მორჩილს.“

ღვთიური ნუგეშის მიზანია ჩვენი ტანჯვის შემსუბუქება, ჩვენი გაძლიერება და მიზნის მისაღწევად შესაძლებლობის მოცემა. სულიწმიდა იმ სიქველეებს გვიცხადებს, რასაც ღმერთი გვწყალობს. მათგან მაშინ ვიღებთ ნუგეშს, როცა სწორად ვაფასებთ მათ ჭეშმარიტ ღირებულებას.

პავლე მალტას სანაპიროზე გემის ჩაძირვის შემდეგ

მოციქულთა საქმეების მიხედვით: 27; 28, 1-10

როცა დატყვევებული პავლე მოციქული რომში ზღვით მიემგზავრებოდა, მალტაზე გემის ჩაძირვის მსხვერპლი გახდა. მალტაზე ის სამი თვის განმავლობაში ცხოვრობდა.

ქარი ძლიერ ქარიშხლად იქცა. ეკიპაჟი ამაოდ ცდილობდა გემის წყალზე შეკავებას.
მეორე დღეს ტვირთი გადაყარეს ზღვაში. ქარიშხალი არ ცხრებოდა. ერთი დღის შემდეგ ხელსაწყოები და ყველა ზედმეტი ნივთიც მიაყოლეს გემის შესამსუბუქებლად. არც მზე და არც ვარსკვლავები არ ჩანდა ცაზე. ამ საშინელ უამინდობაში მოგზაურებმა ყოველგვარი იმედი დაკარგეს. მაგრამ ღმერთმა ანგელოზის პირით უთხრა პავლეს, რომ ხომალდზე მყოფი 276 კაციდან ყველა გადარჩებოდა.
გავიდა თოთხმეტი დღე და თოთხმეტი ღამე. შუაღამე იდგა. მეზღვაურებმა ლოტი (ზღვის სიღრმის გასაზომი მძიმე ჯოხი) ჩაუშვეს ზღვაში და ნახეს, რომ წყალი აღარ იყო ღრმა. შეეშინდათ, წყალქვეშა რიფს არ შეჯახებოდნენ. ზოგიერთი მეზღვაური ნავით გაქცევას შეეცადა. თუმცა პავლე აფრთხილებდა: თუ მეზღვაურები გეზე არ დარჩებოდნენ, ხომალდზე მყოფნი ვერ გადარჩებოდნენ. გათენებამდე ცოტა ხნით ადრე პავლემ თანამგზავრებს ურჩია, ცოტა რამ ეჭამათ. მან აიღო პური, მადლი შესწირა ღმერთს, დაურიგა იქ მყოფებს და თავადაც შეუდგა ჭამას.
როგორც კი გათენდა, ეკიპაჟი ხომალდის ნაპირზე გაყვანას შეეცადა, მაგრამ გემის კიჩო მეჩეჩზე დაიმსხვრა. ზოგმა გაცურა, ზოგი კი დამსხვრეული გემის ფიცრებსა და ძელებს ეჭიდებოდა. ნაპირზე გასვლა 276-ივე ადამიანმა შეძლო. ისინი გადარჩნენ. კუნძულს, რომელზედაც ისინი გადავიდნენ, მალტა ერქვა. კუნძულელებმა თბილად მიიღეს გემიდან გადარჩენილები. წვიმდა და ციოდა და ადგილობრივებმა ცეცხლი დაუნთეს მათ. ფიჩხს პავლეც აგროვებდა.

როცა ფიჩხის კონის ცეცხლზე დაგდება უნდოდა, იქიდან მხურვალებისგან დამფრთხალი გველი გამოძვრა და ხელზე უკბინა მას.
ნუთუ ქარიშხლისგან გადარჩენა ამაო იყო? კუნძულელები ერთმანეთს ეკითხებოდნენ: „ეს კაცი მკვლელია? ზღვას გადაურჩა და ახლა გველის ნაკბენმა უნდა მოკლას. რის გამოა ეს შურისძიება?“



პავლემ გველი ცეცხლში მოისროლა. კუნძულელები ელოდებოდნენ, რომ ხელი დაუსივდებოდა ან უეცრად დაეცემოდა მკვდარი. დიდხანს ელოდებოდნენ, მაგრამ არაფერი მოხდა. თითქოს პავლესთვის არც არასოდეს უკბენია გველს.
პუბლიუსმა, კუნძულის ყველაზე საპატივსაცემო კაცმა, პავლე თავისთან საცხოვრებლად მიიწვია. მამამისი ავად იყო და მაღალი სიცხე ჰქონდა. პავლე მივიდა სნეულთან, მასთან ერთად ილოცა, ხელები დაადო და გამოაჯანმრთელა. კუნძულის სხვა სნეულებიც მივიდნენ პავლესთან და მან ისინიც განკურნა.

წყარო: საბავშვო ჟურნალი; გამოცემა 09. 2025 წ.; ილუსტრაციები: მირელა ფორტუნატი

სტუმრად როზა მიასთან მანილაში (ფილიპინები)



Magandang araw po! ეს ჩემს მშობლიურ ფილიპინურ ენაზე გამარჯობას ნიშნავს. ფილიპინების სახელმწიფო წყნარი ოკეანის 7000-ზე მეტი კუნძულისგან შედგება. ერთ-ერთ მათგანზე მე ვცხოვრობ.

მე მქვია როზა მია და ვარ 13 წლის. მიყვარს ტელევიზორის ყურება, განსაკუთრებით ანიმაციური ფილმების, ბევრს ვხატავ, რადგან ეს მამშვიდებს. გარდა ამისა, ონლაინ თამაშებს ვთამაშობ, ძირითადად მეგობრებთან, და-ძმასთან და ბიძაშვილ-მამიდაშვილებთან.

აქ მე ჩემი სკოლის მეგობრებთან ერთად ვარ. მათგან ვისწავლე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მეგობრობა, რომ შემიძლია თავდაჯერებული ვიყო, და რომ კარგი ვარ ისეთი, როგორიც ვარ.

კარგი მეგობრები მყავს ასევე ჩვენს საეკლესიო თემში, მაკატიში. მაკატი მანილას რეგიონის 17 ქალაქიდან და მუნიციპალიტეტიდან ერთ-ერთია.

მე მანილას რეგიონში ვცხოვრობ დედაჩემ როზაბელასთან და ჩემს ძმებთან, რანზ ჯორდანთან და სტივენ კლეისთან ერთად. მანილა ფილიპინების დედაქალაქია და კუნძულ ლუსონზე მდებარეობს. იცოდით, რომ ფილიპინების კუნძულები წყალქვეშ

მდებარე ქედების მწვერვალებია? როდესაც ზღვიდან მთის მწვერვალი ამოდის, კუნძული წარმოიქმნება. ვინაიდან ეს კუნძულები ზღვის დონიდან ოდნავ მაღლა მდებარეობს, ფილიპინებს სერიოზულ საფრთხეს უქმნის კლიმატის ცვლილება და ზღვის დონის აწევა.

ბუნების ისტორიის ეროვნული მუზეუმი უნიკალურ ფლორასა და ფაუნას, ასევე ფილიპინების კულტურულ მემკვიდრეობას წარმოგვიდგენს. იქ დინოზავრების ჩონჩხის ნახვაც კი შეიძლება! მუზეუმი განთავსებულია ყოფილ სამთავრობო შენობაში.

ჩემი საყვარელი საჭმელი პალაბოკია. ის არის წვრილი ბრინჯის ლაფშა სოუსითა და სხვადასხვა ინგრედიენტებით, როგორიცაა, მაგ., კრევეტები, ღორის ხორცი ან მაგრად მოხარშული კვერცხი. მე მომწონს მისი პიკანტური და ცხარე სოუსი.

დედაჩემისა და დეიდაჩემისგან ვიოლინოზე დაკვრა ვისწავლე. ახლა ჩემი თემის ორკესტრში ვუკრავ. თქვენ როგორ მონაწილეობთ თქვენი თემის ცხოვრებაში?

წყარო: საბავშვო ჟურნალი, 09. 2025 წლის გამოცემა; ფოტოები: პირადი; JLV Image Works/ Roman/hit1912/EpochXstudio/Panupong/ stock.adobe

სადაც იესო ქრისტე მისი განცდის საშუალებას ისევ გვაძლევს დღეს

ეკლესია ადამიანური ქმნილება არ არის, ის ღმერთის შემოქმედებაა: სულიერი სივრცე, სადაც რწმენა იზრდება, სადაც სიყვარული მოქმედებს და იმედის გაზიარება ხდება.

ეკლესია იესო ქრისტეს დაწესებულია. ეკლესია, რომელიც ემპირიულად აღუქმელია და უხილავია, განსხვავებული სიცხადით ვლინდება სხვადასხვა კონფესიებში და, ამდენად, თვითეულ ქრისტიანულ თემში. ცნება „ეკლესია“ ნათლად აჩვენებს მთლიანად ეკლესიასა და ადგილობრივ თემს შორის ურთიერთკავშირს, გულისხმობს რა როგორც მთლიანად ქრისტეს ეკლესიას, ასევე ცალკეულ თემს, როგორც ქრისტეს ეკლესიის ხილულ ნაწილს. ეკლესია და ადგილობრივი თემი იესო ქრისტეზეა დაფუძნებული.

ქრისტეს სხეული

„ქრისტეს სხეული“ ეკლესიისა და ცალკეული ქრისტიანული თემისათვის გამორჩეული სურათხატია (1. კორ. 12, 12). ის წმიდა სამების სახელით მონათლულთა და იმ მორწმუნეთა ერთობას წარმოადგენს, რომლებიც იესო ქრისტეს უფლადაღიარებენ. ქრისტიანული თემი გაცილებით მეტია, ვიდრე მისი წევრების რაოდენობრივი ჯამი. ის არის ქრისტეს მორწმუნეთა სასიცოცხლო თანაზიარება, ცოცხალი ორგანიზმი, რომელსაც იესო ქრისტე, ეკლესიის თავი, წარმართავს (კატ. 3. 4. 13). თემში ცხოვრება ყალიბდება ყველა მორწმუნის მსახურებით, რომლებიც თავიანთი ნიჭებით ემსახურებიან თემს (1. პეტ. 4, 10). ეკლესიაში იესო ქრისტე თავის სასძლო თემს მოციქულთა მეშვეობით ამზადებს მისი მალე მეორედ მოსვლისა და ზეცაში ქორწილისათვის (კატ. 6, 1).

ადგილობრივ თემსა და ქრისტეს ეკლესიას შორის

თავს იჩენს სხვადასხვა დონე: ქრისტიანთა კრება ადგილზე, როგორც „შინაური ეკლესია“ (რომ. 16, 5), მთელი რეგიონის თემი (საქმე 9, 31) ან ეკლესია, როგორც ყველა ქრისტიანის ერთობა ყველგან და ყოველთვის (ეფეს. 5, 25; 1. კორ. 12, 28). ახალსამოციქულო თვალსაზრისით, ეკლესია მოიცავს მორწმუნეებს სააქაოდან და საიქიოდან, ცოცხლებსაც და მკვდრებსაც.

ყველა მათგანს სჭირდება ხსნა ქრისტესგან, რისი გადაცემაც სიტყვისა და საიდუმლოს მეშვეობით ხდება.

თემი, ამაზე კი სხეულის მაგალითი მიუთითებს, მრავალშრიანი მოვლენაა. ის არის თანაზიარება, რომელიც ღვთისმსახურებაზე ხორციელდება, სადაც საიდუმლოს, ლოცვისა და ქადაგების მეშვეობით ღვთიური რეალობის განცდა ხდება. ყოველ შემთხვევაში, ახალსამოციქულო თემებისათვის ღვთისმსახურება, რომელსაც მოციქულის მიერ ხელდასხმული სასულიერო პირი ხელმძღვანელობს, ცენტრსა და სიცოცხლის წყაროს

წარმოადგენს. თემები, რომლებიც სრულად იღებენ საიდუმლოებს და ღვთის სიტყვას, მოწოდებულნი არიან, ცხადყონ ეს და იმოწმონ ამაზე კაცთა წინაშე.

თემის ამოცანები

თემი გარე ფაქტორებით არ განისაზღვრება, როგორიცაა შენობა, წევრთა რაოდენობა, დამატებითი მსახურებების არსებობა ან ხარისხი (მაგ., გუნდი ან ორკესტრი) ანდა სხვადასხვა ღონისძიებები (თემის დღესასწულები და აშ.). თემის სიძლიერე და დამაჯერებლობა სიდიდით ან სტრუქტურით არ იზომება, არამედ განცდილი სულიერი ზემოქმედებით და მოყვასის სიყვარულით გამსჭვალული თანაცხოვრებით - პიროვნების განურჩევლად. ნებისმიერი სიდიდის თემს, რომელზეც სამღვდელო პირი ზრუნავს და ხელმძღვანელობს მას, არსებობის უფლება აქვს.

ყოველი თემის უპირველესი ამოცანა ღმერთისათვის პატივის მიგება და იესო ქრისტეს, განკაცებული ღმერთის, სიტყვითა და საქმით აღიარებაა. მნიშვნელოვანი ამოცანა, და არა მხოლოდ სასულიერო პირთათვის, არამედ თემის ყოველი წევრისთვის, სულზე ზრუნვაა, კერძოდ, ურთიერთთანადგომა და განმტკიცება რწმენასა და საქმეებში. აქედან გამომდინარე, „ხედვა და მისია“, რომელიც კატეხიზმოს დევიზად უნდა იქნას გაგებული, ხასიათდება როგორც სახელმძღვანელო პრინციპი. აქედან იმ ამოცანების განსაზღვრა შეიძლება, რომლებიც დამაჯერებელ ახალსამოციქულო თემს ახასიათებს.

თემი გარე ფაქტორებით არ განისაზღვრება, როგორიცაა შენობა, წევრთა რაოდენობა, დამატებითი მსახურებების არსებობა ან ხარისხი (მაგ., გუნდი ან ორკესტრი) ანდა სხვადასხვა ღონისძიებები (თემის დღესასწულები და აშ.). თემის სიძლიერე და დამაჯერებლობა სიდიდით ან სტრუქტურით არ იზომება, არამედ განცდილი სულიერი ზემოქმედებით და მოყვასის სიყვარულით გამსჭვალული თანაცხოვრებით - პიროვნების განურჩევლად. ნებისმიერი სიდიდის თემს, რომელზეც სამღვდელო პირი ზრუნავს და ხელმძღვანელობს მას, არსებობის უფლება აქვს.

ილუსტრაციები: zzve/stockadobe

თავფურცელი:
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, 8051 ციურიხი / შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი / გერმანია
რედაქტორი: სიმონ ჰაინიგერი

როდესაც ღმერთი თავად ამბობს „ნახვამდის“

საბოლოო კურთხევა არ არის ღვთისმოსაური სურვილი, არამედ ღვთიური დაპირებაა, რომ ყოველდღიურ ცოხოვრებაში მორწმუნეების თანმდევი იქნება წყალობა და მადლი, სიყვარული და თანაზიარება - პირველმოციქულის მოძღვრებითი წერილიდან.

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ლიტურგიის ამ ელემენტის მნიშვნელობა ყოველთვის სწორად არ ესმით. საბოლოო კურთხევის მოფენა თემისთვის 2. კორ. 13, 13-დან აღებული სიტყვებით ხდება: „მადლი უფლისა იესო ქრისტესი, სიყვარული ღვთისა და თანაზიარება სულიწმიდისა იყოს ყველასთან თქვენთან!“ რა მნიშვნელობა აქვს მას და რას მოიცავს იგი?

კურთხევა - გაცილებით მეტი, ვიდრე ფორმულა

ღვთისმსახურების ხელმძღვანელი ამ სიტყვებს ღვთისმსახურების დასრულების ნიშნად წარმოთქვამს. ამ ბიბლიური მუხლის ტექსტი სურვილს გვაგონებს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ღვთისმსახურების ხელმძღვანელი მორწმუნეებს უსურვებს, რომ წყალობა, სიყვარული და თანაზიარება იყოს მათი თანმდევი, ზუსტად ისე, როგორც შინ მშვიდობიანი დაბრუნება შეიძლება უსურვო კაცს.

ღვთის მიერ ამ მიზნით უფლებამოსილი სასულიერო პირისგან ნაუწყები ეს სიტყვები ნამდვილ კურთხევას წარმოადგენს. ისინი აღვსილია ღვთიური ძალით და მსმენელს სულიერ თანხლებას ანიჭებს მისი ცხოვრების გზაზე.

ამ კურთხევით ღმერთი მსმენელებს ჰპირდება, რომ მისი წყალობა, სიყვარული და თანაზიარება მუდამდღე მათი თანმდევი იქნება. და ვინაიდან ღმერთი ყველაფერს აკეთებს, რასაც ამბობს, თემს შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ ზუსტად ასე იქნება. ეს პირობა ეხება ყველას, ვინც ისმენს მას. მაგრამ, როგორც ნებისმიერი კურთხევის შემთხვევაში, მისი ამოქმედებაც იმ პიროვნების რწმენასა და ქცევაზეა დამოკიდებული, ვინც იღებს მას. აქედან გამომდინარე, საბოლოო კურთხევა არის როგორც დაპირება, ასევე ღვთიური შეგონებაც.

ტრინიტარული (სამების სახელით) კურთხევა

2. კორ. 13. 13 ტრინიტარიზმს (სამებას) ეხება. აქვე გავიხსენოთ, რომ ღმერთი ერთიც არის და სამერთიც. თვითეული ღვთიური იპოსტასი - მამა, ძე და სულიწმიდა - ჭეშმარიტი ღმერთია. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ ერთ ღმერთს წარმოადგენენ. საბოლოო კურთხევაც ამ კონტექსტში უნდა იქნას გაგებული. ღმერთია ის - ერთი, ყოვლადძლიერი და სრულქმნილი -, რომელიც ლაპარაკობს. ღმერთის საქმეები ყოველთვის არის მამის, ძისა და სულიწმიდის საქმეები. ამიტომაც წყალობა, სიყვარული და თანაზიარება ერთ-ერთ ღვთიურ პირს კი არ უკავშირდება, არამედ სამივეს ერთად. სრულიად სამართლიანად შეიძლება ითქვას, რომ მამა წყალობას ანიჭებს, ძე თანაზიარებისთვის იწვევს, სულიწმიდა კი სიყვარულია.

„მადლი უფლისა იესო ქრისტესი“

ამ სიტყვებით ღმერთი იმ მადლს გვახსენებს, რომელიც იესო ქრისტეში მოგვანიჭა: მან ჩვენ აგვირჩია და თავის შვილებად გვაქცია, მისი დიდების თანამემკვიდრეებად (ეფეს. 1, 3-14). ცოდვები მოგვიტევა. გარდა ამისა, ყველაფერი, რაც გაგვაჩნია, ამ მადლის წყალობით გვაქვს და არა ჩვენი დამსახურების. როცა ღმერთი ჩვენთან შეხვედრას ამ კურთხევით ასრულებს, ამით შემდეგში გვარწმუნებს:

- რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენ მის შვილებად დავრჩებით - ჩვენს რჩეულებას ის არასდროს დააყენებს ეჭვქვეშ;

- ყოველთვის შეგვიძლია იმის იმედად ვიყოთ, რომ ქრისტე დაგვიცავს ბოროტის ბრალდებებისგან (რომ. 8, 34);
- მისი მადლის იმედადაც შეგვიძლია ვიყოთ - ეს მადლი სრულყოფის მიღწევის შესაძლებლობას მოგვცემს, რაც მის სასუფეველში შესასვლელად არის საჭირო (1. პეტ. 1, 13).

მაგრამ ეს გარანტია მხოლოდ მათ ეხება, რომლებიც ღვთის ნების შესატყვისად იქცევიან. ღმერთი მოგვიწოდებს,

- ვიყოთ თავმდაბალნი მის წინაშე - ჩვენ მთლიანად ღვთიურ მადლსა და წყალობაზე ვართ დამოკიდებულნი - და კაცთა წინაშე - ჩვენ ყველანი ცოდვილები ვართ.
- მოვიქცეთ როგორც ჭეშმარიტი ღვთისშვილები, რომლებიც მისი დიდების მემკვიდრეებად არიან მოწოდებულნი;
- მისგან მიღებული ნიჭები სხვათა სამსახურში ჩავაყენოთ (1. პეტ. 4, 10).

„სიყვარული ღვთისა“

ვიდრე სახლს და ყოველდღიურობას დავუბრუნდებით, ღმერთი კიდევ ერთხელ გვიდასტურებს თავის სიყვარულს. იმ ყველაფრის მიზანი, რასაც იგი აკეთებს, არის ის, რომ სამუდამოდ მასთან ყოფნა შევძლოთ. ნებისმიერ დაბრკოლებას მოგვაშორებს იგი გზიდან, რასაც კი ჩვენი ხსნისათვის ხელშეშლა შეუძლია. ის ყველაფერს მოგვცემს, რაც გადასარჩენად გვჭირდება.

ამის სანაცვლოდ კი მოგვიწოდებს, რომ ნებისმიერ ვითარებაში მის სიყვარულში დავრჩეთ. ღმერთს სურს, ღვთისმსახურება დავტოვოთ

- იმ მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ დავიცავთ მის მცნებებს;
- იმის მტკიცე ნებით, რომ ვიმსახურებთ სიყვარულით და არა ანგარებით;
- იმ მიზნით, რომ მოყვასი ისე გვეყვარება, როგორც ღმერთს უყვარს იგი.

„თანაზიარება სულიწმიდისა“

სულიწმიდის წყალობით ღმერთის გაგონება და მისი ნების შეცნობა შეგვიძლია. ღმერთი გვპირდება, რომ შემდგომშიც დაგველაპარაკება, რამეთუ წაგვიძღვეს, გვანუგეშოს და გაგვაძლიეროს. და გვირჩევს, ყურადღებით ვიყოთ იმის მიმართ, რასაც გვეუბნება, როგორც ქადაგებაში, ასევე ჩვენი სინდისისათვის.

ქრისტეს მემკვიდრეობასთან თანაზიარება მის ტანჯვასთან თანაზიარებას სდევს ფეხდაფეხ (რომ.8, 17; ფილიპ. 3, 10). ღმერთი გვამცნობს, რომ კვლავაც მოგვიწევს გაჭირვების განცდა. მაგრამ იმის იმედად შეგვიძლია ვიყოთ, რომ ის ჩვენთან არის. ის ისმენს ჩვენს ლოცვებს და იწყნარებს მათ. და როცა საკმაოდ მოვისუსტებთ ლოცვაში, მაშინ სულიწმიდა გვშუამდგომლობს (რომ. 8, 26. 27).

სულიწმიდის თანაზიარება სიყვარულის თანაზიარებაც არის. ქრისტეს სიყვარული სულიწმიდამ ჩაგვისახა. როცა ყოფას დავუბრუნდებით, გვახსოვდეს, რომ ღმერთმა იმის უნარი მოგვცა, გვიყვარდეს მოყვასი ისეთი, როგორიც არის. მნიშვნელოვანია, რომ ამის სურვილიც გვქონდეს, შევეცადოთ და ღმერთს ვთხოვოთ დახმარება.

საბოლოო ლოცვა ეკლესიაში სულიწმიდის მუდმივ სუფევაში გვარწმუნებს. დაეჭვების საფუძველი არ გვაქვს: ვერაფერი შეუშლის სულიწმიდას ხელს იმაში, რომ სასძლო თემი სასიძოსთან სრულ თანაზიარებამდე მიიყვანოს.

და ბოლოს, სულიწმიდის თანაზიარება განუყოფლად არის დაკავშირებული წმიდებთან თანაზიარებასთან. ჩვენ ერთი და იგივე სული, ერთი და იგივე რწმენა და იგივე მომავალი გვაქვს. ჩვენ ერთსა და იმავე სიტყვასა და პურს ვიღებთ. სანამ ერთმანეთს დავშორდებით, ღმერთი შეგვაგონებს, არ დავივიწყოთ, რომ ჩვენ ყველანი ერთი სხეულის, ქრისტეს სხეულის, ასოები ვართ. ღმერთთან ნამდვილი თანაზიარება მხოლოდ მაშინ შეიძლება გვქონდეს, თუ ურთიერთშორის გვექნება თანაზიარება (1. იოან. 1, 3-7).

ჩვენ ყოველთვის განსხვავებულები ვიქნებით. მაგრამ ღმერთს არ უნდა, რომ ჩვენი ამ განსხვავებულობის ტყვეობაში აღმოვჩნდეთ! ის მოგვიწოდებს, დავძლიოთ ეს განსხვავებანი და ეკლესიის ერთიანობას აქტიურად შევუწყოთ ხელი. ის იმასაც გვახსენებს, რომ მორწმუნეთა თანაზიარება მარტო სულიერი ბუნებისა არ არის, ის კონკრეტულადაც ვლინდება, კერძოდ, გაჭირვებულებთან სოლიდარობაში და ადამიანებს შორის მატერიალური კეთილდღეობის გაზიარებაში (1. იოან. 3, 17. 18).

2. კორ. 13, 13-თან დაკავშირებული ეს აზრები ამომწურავი არ არის. ცხადია, პავლე მოციქულის ამ სიტყვის განმარტების სხვა შესაძლებლობებიც არსებობს. მე მხოლოდ საბოლოო კურთხევის მნიშვნელობის წინ წამოწევა და იმის ჩვენება მინდოდა, თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია მას მორწმუნე გულზე.

და უკანასკნელი პუნქტი: ეს კურთხევა იმასაც ეხება, ვინც მას იუწყება.

პროგრამა

04.01.2026 წ.	ლუქსემბურგი-ქალაქი (ლუქსემბურგი)
09.01.2026 წ.	ემბუ (კენია)
11.01.2026 წ.	მომბასა (კენია)
18.01.2026 წ.	ტულუზა (საფრანგეთი)
25.01.2026 წ.	პანამა (პანამა)
06.02.2026 წ.	მაამბა (ზამბია)
08.02.2026 წ.	ლუსაკა (ზამბია)
22.02.2026 წ.	პლაუენი (გერმანია)
01.03.2026 წ.	ფრიტაუნი (სიერა ლეონე)
08.03.2026 წ.	ამერსფურტი (ნიდერლანდები)
15.03.2026 წ.	კირხჰაიმ-ტეკი (გერმანია)
25.03.2026 წ.	მარ დელ პლატა (არგენტინა)
27.03.2026 წ.	კოლონია (ურუგვაი)
29.03.2026 წ.	ბუენოს აირესი (არგენტინა)

New Apostolic Church
International